”forgroup”

l.t.d
georgia

ქალაქი თბილისი შარტავას 14ა
Tbilisi shartava str14a

Email:
macharashvili@bog.ge
Tel: +(995)551521452

”For group” LTD სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი.

ქ.თბილისი, შარტავას 14ა

ექსპერტიზის დასკვნა

ქ. თბილისში ბაღნარის ჭ№2ა ს/კ01.11.04.017.116 ორსართულიანი საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებზე.

შ.პ.ს "for group"-ს დაკვეთით ინჟინერ-გეოლოგ ი. ჩხეიძის მიერ 2020 ნოემბერში ჩაუტარდა ექპერტიზა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის გეოლოგიური კვლევის შედეგებს.

ექპერტიზისატვის წარმოდგენილია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში აკინძული ერთ წიგნად, სადაც მოცემულია:
–თავფურცელი
– სატიტულო ფურცელი ბეჭდითა და ინჟინერ გეოლოგის ხელმოწერით.
–სარჩევი ფურცელი.
–ტექნიკური დავალება საინჟინრო –გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად.
–მიწერილობა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად-1გვ.
–დასკვნა ტექტური.
–უბნის ტოპო გეგმა მ, 1:500
–ჭაბურღილებისა და უბნის ლითოლოგიური ჭრილები.
–საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ჩატარებულია 2020 წლის სექტემბერში ინდ, მეწარმე ინდ მეწარმე ალექსანდერ ფეიქრიშვილის მიერ
სამშენებლო უბანი მდებარეობს ქალაქ თბილისში. ბაღნარის ქუჩა №2ა გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი წარმოადგენს სწორ რელიეფს. აბსოლიტური ნიშნულები უბანზე მერყეობს 432,0-432,18-ის ფარგლებში.
უბნის კლიმატური მახასიათებლები მოტანილია პნ 01.05.08—ის თანახმად.
დავალების თანახმად შენობა ორ სართულიანია საძირკვლების ტიპი წერტილოვანი.
შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით II, დაპროექტების სტადია საპროექტო დოკუმენტაცია.
უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით დასაპროექტებელი შენობის სამხრეთით და აღმოსავლეთ ნაწილში გაიბურღა ოთხი ჭაბურღილი. №1 №2, №3 და№4 სიღრმით სულ 20მეტრი.
როგორც ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევებიდან ჩანს, სამშენებლო უბანზე გამოყოფილია ორი ფენა- სგე:
ფენა 1- ნაყარი წარმოდგენილია თიხნარით, კენჭებითა და ხვინჭით.
ფენა 2– თიხნარი ღია ყავისფერი, ნახევრად მყარი კონსტრუქციის, ხვინჭისა და ღორღის 30% მინარევით, გავრცელებულია მთელს

ტერიტორიაზე ფენა 1-ის ქვეშ 1,8მ სიღრმემდე, მისი სიმძლავრე 1.10–1.3მ-ია.

შრეების მიმართების აზიმუტი 140 გრადუსია. შრეების ვარდნის კუთხე 5-6 გრადუსია.

გრუნტის წყალი სამშენებლო უბანზე გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში არ არის დაფიქსირებული, სექტემბერი 2020წელი.

დასკვნა და რეკომენდაციები შედგება რამოდგენიმე პუნქტისაგან, სადაც აღნიშნულია რომ, სამშენებლო უბანზე არ აღინიშნება უარყოფითი საინჟინრო გეოლოგიური პროცესები, ხოლო სირთულის მიხედვით მიეკუთვნება I მატივ კატეგორიას, რომ უბანზე გავრცელებულ გრუნტებში გამოყოფილია ორი სგე ფენა 1-სა და 2–ის სახით. ტექნიკური პირობებიდან გამომდინარე რეკომენდირებულია საძირკვლების დაფუძნება განხორციელდეს, I სგე–ზე ძლიერ გამოფიტულ ძირითად ქანებზე–ფენა 2-ზე რ/ბ ფილაზე. მოყვანილია მათი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, სნ და წ, საარქივო მასალების და საცნობარო ლიტერატურის საფუძველზე.

აღნიშნულია რომ საპროექტო ტერიტორიაზე 2020 წლის სექტემბერში გრუნტის წყალი არ გამოვლენილა, მაგრამ შესაძლებელია ნაპრალოვანი წყლის გამოჩენა.

. მოცემული უბნის ბალიანობა უბანზე გავრცელებული გრუნტების სეისმური კატეგორიების პნ01.01.09 ცხრილის №1 –ის მიხედვით მიღებულია 8 ბალი.

საექპერტო დასკვნა

ქ.თბილისში ბაღნარის ქ№2ა ს/კ01.11.04.017.116 მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებზე.

წარმოდგენილია საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის მასალები, რასაც გავეცანი და ვეთანხმები, რის გამოც ქ.თბილისში ბაღნარის ქ№2ა ნაკვეთზე გამოყოფილ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებს ვაძლევ დადებით დასკვნას.

ექსპერტი
ინჟინერ–გეოლოგი: ი. ჩხეიძე



საექსპერტო ბიურო

ი/მ „ოთარ ბახტაძე“

(კოდი: 01030007097, რეგისტრაციის B10006816)

ქ.თბილისი, გ,ზაზიაშვილის ქ.№13ა, მობ: 599 33 23 79

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, შუშის ქ. N38 (ბაღნარის N2ა) ს.კ 01.11.04.017.116 სამშენებლო მასალების საწყობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2020

ჩვენ შევისწავლეთ აღნიშნული პროექტის კონსტრუქციული გადაწყვეტა ამ ზონისათვის არსებული ბუნებრივ-კლიმატური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, რათა შეგვეფასებინა რამდენად აკმაყოფილებს ცალკეული კონსტრუქციული ელემენტები და მთლიანად ერთიანი სისტემა მოქმედ სამშენებლო ნორმებს შემდგომი საექსპლუატაციო საიმედოობის შეფასების თვალსაზრისით.

შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტის მოკლე აღწერა:

საანგარიშო მოდელად სავარაუდოდ განიხილება ღეროვანი და ფირფიტოვანი ელემენტების ერთობა. საძირკვლის ფილა წარმოადგენს ფილას დრეკად ფუძეზე, ნაგები კოეფიციენტის რამდენიმე მნიშვნელობით, რომელთა სიდიდეები განისაზღვრება **საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების შედეგებიდან**.

პროექტში წარმოდგენილია 500 მმ სისქის წიბოვანი ერთიანი ფილა დაფუძნებული ხელოვნურ ფუძეზე ფენა-ფენად გაძლიერებული ღორღისა და სხვადასხვა სახის სამშენებლო და სამრეწველო ნარჩენების დატკეპნით.

მაქსიმალურად თანაბრად გადანაწილებული დატვირთვები გადაცემული მცირე **სართულიანი სასაწყობო შენობიდან საძირკვლის ფილის მთელ ფართობზე** მინიმუმამდე ამცირებს კუმშვად ფენას და გამორიცხავს არათანაბარ დეფორმაციებს.

შენობის ყველა კონსტრუქციული ელემენტების კვეთები, არმირება, ბეტონის კლასი, ურთიერთშეერთების კვანძები მიღებულია, როგორც ერთიანი სივრცული სისტემის გაანგარიშებით მუდმივ და დროებით ვერტიკალურ საანგარიშო დატვირთვებზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე ჩატარებული საანგარიშო კომპლექსი ЛИРА САПР 2013-ის საშუალებით.

დასკვნა

პროექტში დეტალურად გამოსახულია რკინა-ბეტონის კონსტრუქციული ელემენტების კვეთები დამცავი შრეებითა და ცალკეული არმატურის კარკასების დასაშვები გადაბმის სიგრძეებით, კვანძების ურთიერთშეერთების დეტალები თანახმად ნორმატიული დოკუმენტისა СНиП 2.03.01.84 „Бетонные и железобетонные конструкции“.



რაც შეეხება ლითონის გადახურვის ფერმებს ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია ნორმატიული დოკუმენტის СНиП II-23-81 „Стальние конструкции“ მოთხოვნები, რაც შეეხება საყრდენი კვანძების ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირების მოწყობასა, ურთიერთშეერთებასა და დასრულებული მათი შეღებვით სპეციალური მასტიკებით.

მთლიანობაში პროექტი შესრულებულია კარგ დონეზე და ჩვენს მიერ იმსახურებს მაღალ შეფასებას, რაც საბოლოოდ ნიშნავს იმას, რომ შენობის სეისმომედეგობა და შემდგომი საექსპლუატაციო საიმედოობა უზრუნველყოფილია.

ექსპერტი  ო. ბახტაძე

შემოთავაზებული კვალიფიციური თანამშრომლის ავტობიოგრაფია

შემოთავაზებული თანამდებობა: პროექტის მთავარი კონსტრუქტორი

ფირმის სახელი: შპს „თბილზნიიეპი"

თანამშრომლის სახელი: ოთარ ბახტაძე

პროფესია: ინჟინერ-მშენებელი

დაბადების თარიღი: 17.08.1943 წ.

ეროვნება: ქართველი

მოქალაქის პირადობის მოწმობა: N 01030007097

დაკისრებული მოვალეობის აღწერა: მიწისძვრის შედეგად დაზიანებული ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და აღდგენა-გაძლიერების პროექტების შედგენა.

ძირითადი კვალიფიკაციები:

მისი ხელმძღვანელობით, როგორც პროექტის მთავარი კონსტრუქტორის, განხორციელებულია აღდგენა-გაძლიერების საპროექტო სამუშაოები შემდეგი ობიექტების:

- მოსკოვის ქარხნის (აზლკ) ასაწყობი საამქროს კორპუსი (1984 წ).
- მოსკოვის ლევომიცეტინის წარმოების (აკრიხინი) საწარმოო კორპუსი (1985 წ).
- კაზრეთის რეზერვუარები (2500 მ³ და 3000 მ³).
- რაჭა-იმერეთის მიწისძვრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, კერძოდ: ზოდის, წირქვალის, პერევისას საშ. სკოლები; ქ. ჭიათურის რკინაბეტონის, მექანიკური და პურის საცხობი ქარხნები; 5 და 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლები.
- 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრის შედეგად დაზიანებული ობიექტები, კერძოდ: „ " ბანკის ცენტრალური ოფისის შენობა (თამარ მეფის გამზ. № 18); „ასალიზხელსაწყოს", „თბილხელსაწყოს", „ეიტხის" ადმინისტრაციული შენობები; სასტუმრო „კოლხეთი"; ქ. თბილისის N 83 საშ. სკოლა, საჩხერის რ-ის ჭალაუბნის საშ. სკოლა, კორბოულის ადმინისტრაციული კორპუსი და სხვა.

ი/მ ოთარ ბახტაძე
საექსპერტო ბიურო
PIE OTAR BAKHTADZE 01030007097

განათლება:

- უმაღლესი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1960-1966 წწ), სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (დიპლომი: У № 002227 21.12.66).
- ქ. მოსკოვის სამშენებლო კონსტრუქციების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი (1970-1973 წწ) ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (დიპლომი: МТН № 095444 26.04.74) დისერტაციის თემის წარმოადგენდა „კონსტრუქციული ელემენტების მყიფე ხარჯის გაანგარიშების კლება კარკასული შენობების სეისმომედეგობაზე".

საშუშაო გამოცდილება:

2006 წ	–	შ.პ.ს. „თბილზნიიეპის" ახალი ტექნიკის და სამეცნიერო მიღწევების დანერგვის სექტორის გამგე.
2001-2006 წწ.	–	შ.პ.ს. „კონექსის" აღდგენა-გაძლიერებითი საპროექტო სამუშაოების მთავარი კონსტრუქტორი
30.06.2002 წ	–	საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს საკოორდინაციო საბჭოს ექსპერტი (ბრძანება № 30.06.02).
1990-2003 წწ.	–	„თბილზნიიეპი", ახალი ტექნიკის და სამეცნიერო მიღწევების დანერგვის სექტორის გამგე.
1974-1990 წწ.	–	უფროსი მეცნიერთანამშრომელი ტ.მ.კ. („თბილზნიიეპი").
1970-1973 წწ.	–	ქ. მოსკოვის სამშენებლო კონსტრუქციების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ცნიისკ) ასპირანტი.
1967-1970 წწ.	–	უმცროსი მეცნიერთანამშრომელი („თბილზნიიეპი").
1966-1967 წწ.	–	მეტალურგიის ინსტიტუტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ინჟინერი.

ენები: ქართული, რუსული – თავისუფლად.



საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გაძლიერების პროექტები
შემდეგ მისამართებზე (2011-2016წწ):

1. მოსკოვის გამზირი №11
2. ვაზისუბნის II მ/რ XI კორპუსი
3. ჯავახეთის ქ. კორპ.№3
4. ყვარლის ქ.№107ბ; ყვარლის ქ.№92
5. ვარკეთის III მასივი, მე-8 კვარტ. კორპ. №6
6. ჩიტაის ქ.№13/2
7. ართვინის №8
8. ქეთევან წამებულის გამზ.№29
9. სოფ. წინუბანი, მშვიდობის ქ.№8
10. პოსპიტლის შესახვევი №2
11. თევდორე მღვდლის ჩიხი №5
12. ფალავას ქ.№23, ფალავას ქ.№30
13. ორხევის დასახლება, მერაბ კოსტავას №5
14. ირბახის №15
15. ვარკეთილი IV მ/რ, III კვარტალი
16. ამირაჯიბის ქ.№22ა, №24, №24ა
17. უშაკოვის ქ.№8, №4, №2
18. ყვარლის ქ.№90
19. რატილის ქ.№20, №22, №18
20. გორის ქ.№10
21. ქუთაისის ქ.№22
22. ჭონქაძისა და ბებუთის კუთხე №10
23. ლიახვის ქ.№23
24. როსტოვის ქ.№10
25: წულუკიძის ქ.№28, №29, №35
26. მესხეთის ქ.№153
27. გოგი დოლიძის ქ.№25
28. ისელიანის ქ.№36 (რეკონსტრუქციის პროექტი)
29. თვალჭრელიძის ქ. მე-3 შესახვევი №3
31. მთავარანგელოზის ñ15/2
30. არაგვისპირელის №15 (ლიტ. ა და ბ)
32. ბექა ოპიზრის №5
33. გორკის ქ. №37/2
34. საქმიძის გასასვლელი №2
35. ვარკეთილი IV. მე-3 კვარტ. 164 ბაგა-ბაღი (კორპ. 10)
36. დაბა წყნეთი „ა" ზონა, შერვაშიძის შესახვევი, აგარაკი №14.

ოთარ ბახტაძე
ი/მ
საექსპერტო ბიურო
P/E 01030007097 "OTAR BAKHTADZE"

ახალი შენობა - ნაგებობების პროექტები

1. ისანი-სამგორის რაიონში ქინძმარაულის N2-ში, კორპ.12 ლოჯიის მიშენების პროექტი;
2. ხეხილ-სანერგე მეურნეობა (თბილისის ზღვის დასახლება) 3 სართულიანი შენობის პროექტი;
3. კრწანისის N3-ში (ნაკვეთი 6/46) სახლის რეკონსტრუქცია;
4. სასაწყობო შენობის პროექტი ლითონის კონსტრუქციებში;
5. შინდისის N2-ში, ჩიხი N3 სახლის მიმდებარე ფართობზე 6 მეტრიანი საყრდენი კედლის კონსტრუქციული პროექტი;
6. ხეხილ-სანერგე მეურნეობა (თბილისის ზღვის დასახლება) 300 მ^3 -ში ტევადობის რეზერვუარის პროექტი;
7. იოსელიანის N36-ში საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია;
8. თბილისი, კაკაბაძის შეს, N3-ში 2 სართულიანი შენობა-დაშენების კონსტრუქციული პროექტი 2019 წელი;
9. თბილისი, ნუცუბიძის ქ. N201-ში საცხოვრებელი სახლის პირველ მაღალ სართულში ანტრესოლის მოწყობის პროექტი 2019 წ.;
10. საგურამოში საცხოვრებელი სახლის პროექტის ნაწილი 2019 წ.;
11. საწარმოო შენობის (სახანძრო მანქანების დეპო) კონსტრუქციული პროექტი. დამკვეთი: ბაქო-თბილისი- ჯეიხანის მილსადენი კომპანია 2019 წ.;
12. სოფ. ფონიჭალა, საგამოფენო დარბაზის პროექტის კონსტრიქციული ნაწილი 2020 წ.



დიპლომი

У № 002227

ეს დიპლომი მიეცა ოთარ იაკობის-ძე ბახტაძეს

მასზე, რომ იგი 1960 წელს შევიდა ლენინის სახ. საქ. შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1966 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა"

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1966 წ. „24" თებერვლის გადაწყვეტილებით ო. ი. ბახტაძეს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1966 წ. 21/XII

სარეგისტრაციო № 12477

Грузинская из.

ДИПЛОМ

У № 002227

Настоящий диплом выдан Бахтадзе Отари Яковлевичу

в том, что он в 1960 году поступил в Груз. ордена Трудового Красного Знамени политехнический институт им. В. И. Ленина

и в 1966 году окончил полный курс названного института

по специальности „Промышленное и гражданское строительство"

Решением Государственной экзаменационной комиссии от „24" февраля 1966 г. Бахтадзе О. Я.

присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси 21/XII 1966 г.

Регистрационный № 12999

Московская типография Гознака. 1963.